ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №3516137

ნომერი: AR1537635

თარიღი : 05.09.2017

გაცემის თარიღი : 08.09.2017

გაცნობის თარიღი : 30.11.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი,კოტე აფხაზის N27, ანტონ კათალიკოსის 15-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლალი შელია პ/ნ 01017005224
- თბილისი შ.რუსთაველის გამზ. N 1

ორგანიზაცია:

- შპს შევარდენი კოდი: 204381640

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის საზღვრების მომზადება
- ღია სეზონური საზაფხულო კაფის მოწყობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის

საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

# გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა AR1537635 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, კოტე აფხაზის N27/ ანტონ კათალიკოსის ქუჩა N15–ის მიმდებარედ დროებითი სტატუსის მქონე საზაფხულო კაფეს მოწყობის მიზნით წერილობითი ნებართვის გაცემას, გაცნობებთ: „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად გეძლევათ უფლება 1 წლის ვადით დროებითი სტატუსის მქონე საზაფხულო კაფეს მოსაწყობად ქ. თბილისში , კრწანისის რაიონში, კოტე აფხაზის N27/ ანტონ კათალიკოსის ქუჩა N15–ის მიმდებარედ ტერიტორიაზე თქვენს მიერ წარმოდგენილი ესკიზის და ფოტომონტაჟის შესაბამისად.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.